მსოფლიო გეოპოლიტიკური ცვლილებები და ახალი ეკონომიკური ტრენდები

ნოდარ ჭითავა
ეკონომიკის დოქტორი, nodarichitava@gmail.com

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია; გეოპოლიტიკა; ეკონომიკური ტრენდი; გეოეკონომიკა*
J.E.L. Classification: B0, F5 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2026.31.10

ციტირებისთვის: ჭითავა, ნ., (2026) მსოფლიო გეოპოლიტიკური ცვლილებები და ახალი ეკონომიკური ტრენდები. ეკონომიკური პროფილი, ტ. 21, 1(31), გვ. 102–118. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2026.31.10

ანოტაცია. *წინამდებარე ნაშრომის ამოცანაა გავაანალიზოთ დღევანდელი მსოფლიოს მთავარი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ცვლილებები, განვსაზღვროთ ტრენდები, რომლებიც განაპირობებენ მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს უახლოეს ათწლეულში.*

საკითხის მასშტაბურობის, სირთულისა და ჰიპოტეტიურობის გამო, შემოვისაზღვრებით პრობლემების ზოგადი დასმით და განვითარების ძირითადი ტრენდების მონახაზებით.

XXI საუკუნის გეოპოლიტიკა რეალურად ამ საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო. წინა ორი ათწლეული იყო „ცივი ომის“ დამთავრების შედეგად ჩამოყალიბებული მსოფლიო წესრიგის ავტომატური, მილევად რეჟიმში გაგრძელება, ანუ XX საუკუნის ბოლო ათწლეულის ძირითადი მახასიათებლების განვითარება (აშშ-ს პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ჰეგემონია; ევროპის ნელი სვლა გაერთიანებისკენ; ჩინეთის ეკონომიკის სწრაფი ზრდა; ლიბერალური მსოფლიო სავაჭრო სისტემის განვითარება).

ბოლო ხუთი წლის მანძილზე მომხდარმა გლობალურმა მოვლენებმა: 1. რუსეთ-უკრაინის ომმა; 2. ჩინეთის ეკონომიკური პოტენციალის ძლიერ სამხედრო და პოლიტიკური რესურსად გარდაქმნამ; 3. აშშ-ს ნატოს წევრი-ქვეყნებისადმი დამოკიდებულების შეცვლამ გარდაქმნეს მსოფლიოს პოლიტიკური დღევანდელობა.

გეოპოლიტიკური ცვლილებების პარალელურად მიმდინარეობს მნიშვნელოვანი გეოეკონომიკური ცვლილებები. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული და ძლიერად ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე.

შესავალი

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ მსოფლიო ისტორიის უჩვეულოდ იშვიათ ერაში აღმოჩნდა - ყოველ შემთხვევაში, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ სადაც მხოლოდ ერთი ზესახელმწიფო არსებობდა (ზაქარია, 2025:17).

განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ მსოფლიოში მიმდინარე გეოეკონომიკურ ცვლილებებს განსაზღვრავს სამი ძირითადი ტრენდი: 1. ჩინეთის მზარდი ეკონომიკური ექსპანსია, რომელიც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს აიძულებს მსოფლიო ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა ნაწილობრივ შეცვალოს ეკონომიკური პროტექტიონიზმით; 2. აშშ-ს მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელობის ობიექტური კლება, რაც ასრულებს აშშ-ს მსოფლიო ეკონომიკური ჰეგემონიის საუკუნოვან ისტორიას, მაგრამ ტოვებს ლიდერად ან მინიმუმ „primus interpares“; 3. ტექნოლოგიური გარდაქმნები და ხელოვნური ინტელექტის განვითარება, რომელიც კარდინალურად შეცვლის ეკონომიკურ ურთიერთობებს, როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე. ის ვინც მიაღწევს წარმატებას ამ სფეროში, ხატოვნად რომ ვთქვათ, მოახდენს მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას (პირველმა სამრეწველო რევოლუციამ შექმნა XIX საუკუნის ყველაზე განვითარებული ბრიტანეთის იმპერია, მეორე და მესამე სამრეწველო რევოლუციებმა XX საუკუნის ლიდერი აშშ), დიდი ხნით განსაზღვრავს მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებას XXI საუკუნეში.

რუსეთ-უკრაინის ომი

2008 წელს საქართველოს ტერიტორიებისა და 2014 წელს ყირიმის ოკუპაციაზე მსოფლიოს არასათანადო რეაქციამ, დონეცკის ოლქსა და სირიაში სამხედრო წარმატებებმა, რუსეთის ხელისუფლებას არასწორი წარმოდგენა შეუქმნა რუსეთის სამხედრო ძალების პოტენციალზე.

მათ ჩათვალეს, რომ „ცივ ომში“ დამარცხებისა და სსრ კავშირის დაშლის შემდეგ დასუსტებულმა რუსეთმა აღიდგინა თავისი სამხედრო ძლიერება და გადაწყვიტა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერება და ყოფილ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოდერნიზირებული საბჭოთა იმპერიის აღდგენა.

უკრაინული ხალხის გმირულმა ბრძოლამ საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად რუსული „ბლიც-კრიგის“ შესაძლებლობა მოსპო და ომმა ხანგრძლივი პოზიციური ბრძოლების სახე მიიღო.

დღეს, ომის დაწყებიდან 4 წლის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ რომ რუსეთმა ეს ომი წააგო, რადგან:

1. „მსოფლიოს მეორე არმიამ“ ოთხი წლის მანძილზე ვერ შეძლო რაიმე მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატების მიღწევა შეზღუდული რესურსების მქონე მოწინააღმდეგესთან, რითაც გამოაჩინა საკუთარი არმიის სისუსტე.

2. რუსეთმა ერთ ენაზე მოსაუბრე, ერთმორწმუნე, საერთო ისტორიის, მჭიდრო სოციალური და ღრმა ეკონომიკური კავშირების მქონე 40 მილიონზე მეტი ხალხი და სახელმწიფო მტრად გაიხადა. რუსეთი უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობის გარეშე ვერ იქნება მსოფლიო დონის მოთამაშე და ის მხოლოდ რეგიონული მოთამაშის სტატუსით შეიძლება შემოიფარგლოს.

3. ამ ომით რუსეთმა არა თუ შეაჩერა ნატოს გაფართოება, არამედ პირიქით, დააჩქარა ფინეთისა და შვეციის ნატოში შესვლა და მიიღო დამატებით 1000კმ-ზე მეტი საზღვარი ნატოსთან.

4. რუსეთმა თავისი სათბობ-ენერგეტიკული რესურსებისათვის დაკარგა საუკეთესო ევროპული ბაზარი, მაღალი ფასითა და გრძელვადიანი ხელშეკრულებებით. ბაზარი, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, იყო სსრ კავშირისა და შემდგომ რუსეთის სავალუტო შემოსავლების ძირითადი წყარო. მან შეძლო თავისი საექსპორტო ნავთობისა და გაზის აღმოსავლეთით გადამისამართება (ძირითადად ჩინეთი, ინდოეთი), მაგრამ დიდი დანაკარგებით - მნიშვნელოვანი ფასდაკლებით და არასტაბილური მოთხოვნით.

5. რუსეთმა ფაქტობრივად დაკარგა ბრიუსელში განთავსებული თავისი სავალუტო რეზერვები - 200 მლრდ. ევროზე მეტი. ეს გაყინული თანხა იურიდიულად კვლავ რუსეთის საკუთრებაა, მაგრამ ამ დეპოზიტის სარგებლის გარანტიით უკრაინაზე გაცემულია მრავალმილიარდიანი სესხები და ეს 200 მილიარდი ევრო აუცილებლად იქნება გამოყენებული უკრაინის ეკონომიკის აღსადგენად ომის დამთავრების შემდეგ (რუსეთს ამ 200 მლრდ ევროს რეზერვებიდან 10-30% რომ მიემართა უკრაინასთან მჭიდრო ეკონომიკური და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისაკენ, ის არც ამ 200 მლრდ ევროს დაკარგავდა და არც იმ 300 მლრდ ევროს, რომელიც მას ეს ომი უკვე დაუჯდა. - ავტ.).

6. ევროპასთან რუსეთის დაპირისპირება ამ ომის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდება. რუსეთ-ევროპის ნებისმიერი თანამშრომლობა ომამდე არსებულ დონეს არ დაუბრუნდება. ტრამპის ამერიკასთან ეკონომიკური ურთიერთობა შეიძლება გაუმჯობესდეს, მაგრამ რუსეთ-აშშ-ის ეკონომიკური თანამშრომლობა არასოდეს ყოფილა ინტენსიური. რუსეთის ეკონომიკისათვის აუცილებელი მოდერნიზაცია დასავლური ტექნოლოგიების გარეშე შეუძლებელია. მხოლოდ ჩინური ინდუსტრიის გამოყენებით თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ეკონომიკის ჩამოყალიბება წარმოუდგენელია. შესაბამისად, რუსეთის ეკონომიკის ჩამორჩენა მა-

ღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა.

7. რუსეთი, ომის დამთავრების შემდეგ, მიიღებს მის საზღვართან მდგარ ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს მტრულად განწყობილ უკრაინულ არმიას. როდესაც ქვეყნის დასავლეთ საზღვარზე, რომელიც 5000 კმ-ზე გადაჭიმული (უკრაინისა და ნატოს ქვეყნების საზღვრები რუსეთთან), განლაგებულია რუსეთისადმი ტერიტორიული პრეტენზიების (გაცხადებული თუ გაუცხადებელი) მქონე ქვეყნების ჯარები, რუსეთის პოზიციები შორეულ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ჩინეთთან და იაპონიასთან, ვერ იქნება ძლიერი.

8. დაბოლოს, რუსეთს უკრაინასთან ომისათვის დაჭირდა ჩინეთის დახმარება, რამაც აიძულა იგი გამხდარიყო ჩინეთის უმცროსი პარტნიორი. რუსეთმა ამით დაკარგა აშშ-ჩინეთის დაპირისპირებაში (რომელიც თანდათანობით უფრო მწვავე ფორმებს მიიღებს) მისთვის ყველაზე მოგებიანი პოზიციის ჩამოყალიბების საშუალება. მას ომამდე ჰქონდა საშუალება ყოფილიყო ამ დაპირისპირებაში რომელიმე მხარის სტრატეგიული მოკავშირე, პასიური მხარდამჭერი ან ნეიტრალური მოთამაშე. მის მიერ არჩეული პოზიცია დამოკიდებული იქნებოდა რუსეთის სტრატეგიულ გათვლებზე და ჩინეთიდან და აშშ-დან მიღებულ შესაძლო ასობით მილიარდიან ფინანსურ და მატერიალურ ბენეფიტებზე.

მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ომის შედეგად, ჩინეთმა ძალზე იაფად იყიდა ოპციონი - აშშ-თან დაპირისპირების შემთხვევაში რუსეთის ჩინურ ბანაკში ყოფნაზე. ამ ომის გარეშე, ამ ოპციონის ფასი რამდენიმე წელიწადში გაცილებით დიდი იქნებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატები

მსოფლიო გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური გარდაქმნის ავანგარდში რჩება ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-ში მიღებული გადაწყვეტილებები, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ტექნოლოგიური როლიდან გამომდინარე, მთელი მსოფლიოსათვის მნიშვნელოვანია და განსაზღვრავს მის დღის წესრიგს.

ბოლო პერიოდში აშშ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს აშშ-ს ნატოსადმი დამოკიდებულების საკითხი. აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების ატლანტიკური სივრციდან წყნარი და ინდოეთის ოკეანეებისაკენ გადატანა მიმდინარე პერიოდისა და უახლოესი მომავლის რეალობაა. აშშ-ს ბოლოდროინდელ თავდაცვისა და უსაფრთხოების სახელმწიფო დოქტრინებში ჩინეთი მოხსენიებულია აშშ უმთავრეს მოწინააღმდეგედ, რაც გულისხმობს აშშ-ს მთავარ სტრატეგიულ ამოცანად ჩინეთის შეკავებას.

ჩინეთის შეკავების საკითხს ემატება ორასი წლის წინ (1823) მიღებული მონროს დოქტრინის რეინკარნაცია, რაც აუცილებლად მოითხოვს სამხრეთ ამერიკისაკენ სამხედრო-პოლიტიკური რესურსების მიმართვას.

აშშ-ს გადაწყვეტილება, რომ: ა) ნატოს წევრმა ქვეყნებმაგაზარდონ თავიანთი სამხედრო ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-მდე; ბ) ევროპას შეუძლია და ვალდებულია დაიცვას საკუთარი კონტინენტი, ხოლო თვითონ აშშ ნატოსთან ერთად ან მის გარეშე კონცენტრირებული იქნება ჩინეთზე - ობიექტური და სწორი გადაწყვეტილებაა.

როგორც სჩანს, აშშ-ს ევროპაში ყოფნის 80 წლიანი ისტორია სრულდება. ტრამპის ადმინისტრაციის აშშ-ში შეცვლის შემდეგაც ეს ტრენდი შენარჩუნდება. ცივილიზებული დასავლეთის გაგება, როგორც ტრანსატლანტიკური ერთიანობისა ეჭვის ქვეშ დგება.

აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება - კარდინალურად შეცვალოს ლიბერალური მსოფლიო სავაჭრო სისტემა (რომლის მთავარი არქიტექტორი, ორგანიზატორი და აქტორი, თვითონ იყო) სერიოზულად იმოქმედებს მსოფლიო გეოპოლი-

ტიკაზე და გეოეკონომიკაზე.

აშშ თვლის, რომ ლიბერალურმა მსოფლიო სავაჭრო სისტემამ საშუალება მისცა უცხოურ ქვეყნებს მიეღოთ სარგებელი აშშ-გან, როგორც მსოფლიოს ყველაზე დიდი ეკონომიკისაგან და საჭიროა პროტექციონისტულ სავაჭრო პოლიტიკაზე გადასვლა.

ხანგრძლივი და ტრილიონ დოლარიანი სავაჭრო დეფიციტი სერიოზული ეკონომიკური პრობლემაა აშშ-სთვის, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია ბოლო ათწლეულების ტრენდით - სამუშაო ადგილების გადატანით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და მექსიკაში. აღვნიშნავთ, რომ აშშ-ს საგარეო სავაჭრო ბალანსი 1893 წლიდან 1971 წლამდე დადებითი იყო. ამის შემდეგ იგი დეფიციტურია (Greenspan and Wooldridge, 2018).

განვითარებულმა ქვეყნებმა, პროდუქციის შექმნისა და საბოლოო მოხმარების გრძელ ტექნოლოგიურ ჯაჭვში, ადგილზე დატოვეს მაღალი დამატებული ღირებულების შექმნის პროცესი - საქონლის პროექტირება, დიზაინი, მარკეტინგი, წარმოების შრომატევადი პროცესი- შრომის დაბალი ღირებულების ქვეყნებში გადაიტანეს. საერთაშორისო კომპანიებისათვის ეს სქემა ბიზნესის თვალსაზრისით ძალზე მოგებიანი აღმოჩნდა. სარგებელი მიიღო მომხმარებელმაც ფასის შემცირების გამო, მაგრამ ამ სქემამ სახელმწიფოს თვალსაზრისით სერიოზული გამოწვევები წარმოშვა:

1. შემცირდა სამუშაო ადგილები განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით გადამმუშავებელ მრეწველობაში.

2. კოვიდ პანდემიამ შეახსენა საზოგადოებას, რომ ლიბერალური მსოფლიო სავაჭრო სისტემა მთელ მსოფლიოში განლაგებული ქსელით და საქონლის თავისუფალი და სწრაფი გადაადგილების მექანიზმით, არ ცვლის ექსტრემალურ პირობებში საკუთარი სახელმწიფოს უსაფრთხოების პირველ ადგილზე დაყენების აუცილებლობას, რაც განაპირობებს ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ საჭირო საქონლის ადგილზე წარმოების ვალდებულებას ან გარკვეული მარაგების ქონას.

3. მსოფლიოში მზარდი პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირება აუცილებლად გამოიწვევს პოლიტიკურ ბანაკებად დაყოფას და შესაბამისად ვაჭრობის ფრაგმენტაციას. ვაჭრობაში მოგებიანობის პრინციპს ნაწილობრივ ცვლის სტაბილურობისა და პოლიტიკური მიზანშეწონილობის პრინციპი. მიწოდების ჯაჭვები გახდება უფრო მოკლე (nearshoring) და მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდული (frendshoring), მზარდი პროტექციონისტული ტენდეციების გათვალისწინებით. ჩინეთის წინაშე საპირისპირო ამოცანა დგას, რაც შეიძლება ფართოდ აითვისოს საგარეო ბაზრები, რათა ისარგებლოს თავისი კონკურენტული უპირატესობით. იმედია არ გამეორდება ოპიუმის ომების ისტორია (1839-1860 წწ) და ამჟამად ჩინეთი არ მოითხოვს თავისი სამხედრო ფლოტილიით ინგლისისა და დასავლეთის ბაზრების გახსნას.

აშშ-ის საგარეო ვაჭრობა 2025 წელს

აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს ეკონომიკური ანალიზის ბიუროს მონაცემებით აშშ-ის საქონლისა და მომსახურების ექსპორტმა შეადგინა 4,3 ტრლნ, ხოლო იმპორტმა 4,3 ტრლნ. აშშ დოლარი (ზრდა 2024 წლის მაჩვენებლებთან 199 მლრდ $ და 197 მლრდ $ შესაბამისად). საგარეო სავაჭრო დეფიციტი წინა წელთან შედარებით შემცირდა 2 მლრდ $-ით და შეადგინა 901,5 მლრდ $. სასაქონლო დეფიციტის ზრდის პირობებში საერთო დეფიციტის შემცირების მიზეზია მომსახურებით ვაჭრობაში პროფიციტის ზრდა 27,2 მლრდ $-ით, 339 მლრდ $-მდე (2025წ. მონაცემებით). („Коммерсант“, 20.02.26).

რაც შეეხება საქონლით საგარეო ვაჭრობას : ექსპორტი 2,2 ტრლნ $ (ზრდა წინა წელთან შედარებით 0,2 ტრლნ.$), იმპორტი-3,4ტრლნ.$ (ზრდა-0,1 ტრლნ $).

2025 წელს აშშ-ის ექსპორტი ევროკავშირში წლის განმავლობაში გაიზარდა 44,6 მლრდ $-ით და შეადგინა 414,4 მლრდ.$, იმპორტი კი გა-

იზარდა 26,5 მლრდ $-ით და შეადგინა 632,2 მლრდ $. აშშ სავაჭრო დეფიციტმა ევროკავშირთან შეადგინა 218,8 მლრდ $ (კლება 17,1 მლრდ $-ით).

შემცირდა აშშ-ს საგარეო ვაჭრობა 2025 წელს ჩინეთთან. ექსპორტი შემცირდა 26%-ით, 106,3 მლრდ $-მდე, ხოლო იმპორტი შემცირდა 30%-ით, 308,4 მლრდ $-მდე. შესაბამისად, დეფიციტი - 202,1 მლრდ $.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ვაჭრობა ტაივანთან: იმპორტმა ტაივანთან შეადგინა 2025 წელს 201,4 მლრდ $ (116,2 მლრდ.$ - 2024წ.), ექსპორტი 54,6 მლრდ $ (42,4 მლრდ.$ -2024წ.). აშშ დეფიციტმა შეადგინა 146,8 მლრდ.$, 2024 წლის 73,8 მლრდ $-ის ნაცვლად. წლის განმავლობაში სერიოზულად გაიზარდა აშშ-ის იმპორტი ვიეტნამიდან 136,5-დან 193,8 მლრდ $-მდე, ექსპორტი მინიმალურია და შეადგინა 15,6 მლრდ $ (13 მლრდ-ის ნაცვლად). („Коммерсант“, 20.02.26).

ზემოთ მოყვანილი ციფრები და ცხრილის მონაცემები თანხვედრაშია ჰარვარდის უნივერსიტეტის და დარტმუთის კოლეჯის თანამშრომლების კვლევასთან ტრამპის I და II საპრეზიდენტო პერიოდში აშშ-ს საგარეო ვაჭრობაზე ტარიფების ზემოქმედების შესახებ. მათი მოხსენება გამოქვეყნებულია ეკონომიკური კვლევის ამერიკის ნაციონალური ბიუროს (NBER) მიერ. მოხსენებაში ნათქვამია,რომ ტრამპის ტარიფები არ იწვევს შიდა ამერიკული წარმოების ზრდას. ჩინეთიდან შემცირებული მიწოდება შეიცვალა არა ამერიკული საქონლით, არამედ სხვა ექსპორტიორებით. ამასთან ხდება არა მიწოდების დივერსიფიკაცია, არამედ უმსხვილეს მომწოდებლებს შორის გადანაწილება. ამასთან არაპირდაპირი დამოკიდებულება ჩინეთზე მაინც დარჩა, რადგან მაკომპლექტებელი ისევ ჩინურია.

ცხრილი 1

აშშ-სსაგარეო ვაჭრობის მთავარი პარტნიორები (საქონლით ვაჭრობა)
2024 – 2025 წწ. მლრდ. აშშ დოლარი

ქვეყანა	2025				2024			
	ბრუნვა	იმპორტი	ექსპორტი	დეფიციტი	ბრუნვა	იმპორტი	ექსპორტი	დეფიციტი
1. მექსიკა	802,3	492,5	309,8	182,7	839,5	505,5	334,0	171,5
2. კანადა	661,2	351,2	310,0	41,2	761,8	411,9	349,9	62,0
3. ჩინეთი	385,2	287,3	97,9	189,4	581,9	438,7	143,2	295,5
4. ტაივანი	226,6	176,7	49,9	126,9	158,8	116,3	42,5	73,7
5. ვიეტნამი	189,4	175,3	14,1	161,2	149,5	136,5	13,0	123,5
6. გერმანია	216,7	140,8	75,9	65,0	236,1	160,4	75,7	84,7
7. იაპონია	209,5	133,8	75,7	58,1	227,4	148,4	79,0	69,4
8. ირლანდია	147,2	129,7	17,5	112,2	120,1	103,3	16,8	86,5
9. სამხრეთ კორეა	176,3	113,4	62,9	50,5	197,2	131,6	65,6	66,0
10. შვეიცარია	169,0	101,3	67,7	33,6	88,3	63,3	25	38,3

წყარო: US trade deficit by country 2025. https://www.theepochtimes.com/

აშშ-ის წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემებიდან ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ვალია, რომელიც შეადგენს 30 ტრლნ.აშშ დოლარს. აქედან 9 ტრილიონ 270 მილიარდი აშშ დოლარი უცხო ქვეყნის ვალებია (იხ. https://ticdata.treasury.gov/resource-center/data-

chart-center/tic/Documents/slt_table5.txt). 2025 წლის მონაცემებით აშშ-ის სახაზინო ობლიგაციების ყველაზე დიდი მფლობელია იაპონია 1 ტრლნ 185 მლნ. აშშ დოლარი, შემდეგ მოდის დიდი ბრიტანეთი - 866 მლრდ. აშშ დოლარი; ჩინეთი - 683 მლრდ. აშშ დოლარი; ბელგია - 477 მლრდ.; კანადა - 468მ ლრდ. აშშ დოლარი. აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში იაპონიამ და კანადამ გაზარდეს აშშ ობლიგაციების მოცულობა 124 მლრდ. და 89 მლრდ. აშშ დოლარით, ჩინეთმა კი შეამცირა - 76 მლრდ.აშშ დოლარით. ამასთან ჩინეთისათვის ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია 2008 წლის შემდეგ. ჩინეთის მაქსიმუმი იყო 1,3 ტრლნ. აშშ დოლარის ღირებულების აშშ სახაზინო ობლიგაციები 2013 წელს.

აშშ სახელმწიფო ვალის შემცირების საკითხი ძალზე რთულია. ეს არის კომპლექსური საკითხი, რომელიც მოიცავს საგადასახადო პოლიტიკას, საგარეო სავაჭრო ტარიფებს, დოლარის კურსს, სახაზინო ობლიგაციების ფასს, ფედერალური სარეზერვო სისტემის საპროცენტო განაკვეთებს და ა.შ.

აქსიომატური დებულებაა, რომ ვალი ხარჯის შემოსავალზე ნამეტია, მნიშვნელობა არა აქვს ეს იქნება შიდა მეურნეობა, თუ სახელმწიფო. სახელმწიფო ვალის შესამცირებლად უნდა გავზარდოთ სახელმწიფო შემოსავლები, რაც დაკავშირებულია გადასახადების ზრდასთან (მხოლოდ საგადასახადო ბაზის გაფართოება საკმარისი არ იქნება), ან შევამციროთ სახელმწიფო ხარჯები, თუმცა შემცირდება ეკონომიკური აქტივობაც მათ შორის სოციალურიც. ორივე შემთხვევაში დემოკრატიულ სახელმწიფოში ეს იწვევს ამომრჩევლის განაწყენებას მმართველი პარტიის მიმართ და ამ პარტიის გარანტირებულ დამარცხებას მორიგ არჩევნებში. ამდენად, სახელმწიფო ვალის შემცირებას სჭირდება ზუსტი ეკონომიკური ქმედება, პოლიტიკური გადაწყვეტილება და მმართველი პარტია, რომელიც სახელმწიფო ინტერესს თავის პოლიტიკურ ინტერესზე მაღლა დააყენებს. აშშ-ს დღევანდელი პოლიტიკური ისტებლიშმენტისათვის ნაკლებსავარაუდოა ასეთი მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი გადაწყვეტილების მიღება. მით უფრო, რომ ამ რთული საკითხის გადაჭრას არ ეყოფა 1 თუ 2 საარჩევნო ოთხწლიანი ციკლი. პრობლემა ძალზე სერიოზულია. ალბათ მართალი იყო დიდი უინსტონ ჩერჩილი, რომელმაც თქვა (ზუსტი წყარო არ არსებობს), რომ ამერიკელები ყოველთვის ღებულობენ სწორ გადაწყვრტილებას - მას შემდეგ, რაც მოსინჯავენ ყველა დანარჩენს.

სახელმწიფო ვალის შემცირებასთან არის დაკავშირებული აშშ დოლარის საკითხიც. ბოლო ათწლეულების მანძილზე მცირდება დოლარის წილი საერთაშორისო საბანკო რეზერვებში, საერთაშორისო ანგარიშსწორებაში, ვალუტებში ნომინირებული აქტივების მოცულობაში, მაგრამ მისი ჰეგემონია მსოფლიო საფინანსო სისტემაში კვლავ ურყევია. არ არსებობს სხვა ვალუტა, რომელსაც არა თუ შეუძლია შეცვალოს იგი როგორც საფინანსო ჰეგემონი, არამედ გაუტოლდეს მას მნიშვნელობით უახლოეს პერიოდში.

IMF მონაცემებით 2025 წლის III კვარტალში დოლარის წილი საერთაშორისო საბანკო რეზერვებში იყო 57% (2000 წლისათვის 70% იყო) ევროსი - 20%; იუანის 2-2,5%; იენის- 5-6%; ბრიტანული ფუნტის - 4-5%; სხვა დანარჩენი ≈10%.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში (SWIFT-ის მონაცემებით) 2025 წელს დოლარის წილი იყო 47-49%; ევროსი-22-24%; ფუნტი-7%; იუანი-4-5%; იენა-4%. (IMF Data Brief)

ვალუტებში ნომინირებული აქციების მოცულობა (სააქციო კაპიტალი) მთელს მსოფლიოში შეადგენს დაახლოებით 110-120 ტრილიონ დოლარს. აქედან აშშ დოლარშია ნომინირებული 55-60 ტრლნ.დოლარის აქციები, ევროში-12-14 ტრლნ აშშ დოლარი; ჩინეთის კაპიტალიზაცია ჰონკონგის ჩათვლით 11-13 ტრლნ აშშ დოლარია.

„მიუხედავად ბოლო 12 თვის მანძილზე შემცირებისა, დოლარის გაცვლითი კურსი (რომელიც ითვალისწინებს ქვეყნებში ინფლა-

ციის დონეს) 13%-ით მაღალი იყო თავის 30 წლიანი საშუალო მაჩვენებელზე. ჟურნალ The Economist-ის „ბიგ-მაკ"-ის ინდექსით (რომელიც ეყრდნობა „ბიგ-მაკის" ფასებს სხვადასხვა ქვეყნებში), დოლარის კურსი მაღალია 70 ვალუტიდან 49 ვალუტასთან შედარებით" (The Economist. 29.01.2025). საგარეო სავაჭრო დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის შემცირების ამოცანისა და ფედერაციული სარეზერვო სისტემის საპროცენტო განაკვეთების შემცირების მიმდინარე ტრენდიდან გამომდინარე, ალბათ დოლარის კურსი მინიმუმ 3 წელი განაგრძობს შემცირებას.

ევროკავშირი

რუსეთ-უკრაინის ომმა, აშშ-ს დღევანდელი ადმინისტრაციის არამეგობრულმა დამოკიდებულებამ ევროპისადმი და ჩინეთის ეკონომიკურმა ექსპანსიამ ნათლად წარმოაჩინა ევროპის სუსტი მხარეები:

- განუვითარებელი სამხედრო ინდუსტრია და აშშ-ს დახმარების გარეშე თავდაცვის უზრუნველყოფის შეუძლებლობა;
- მრავალრიცხოვანი სამართლებლივი ბარიერები ბიზნესის განვითრებაში და შესაბამისად ზრდის დაბალი ტემპები და ჩამორჩენა თანამედროვე ტექნოლოგიებში;
- მაღალი სოციალური ვალდებულებებით დატვირთული სახელმწიფო ბიუჯეტები;
- ერთიან ევროკავშირში სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმის არქონა და წარმოქმნილ პრობლემებზე დაგვიანებული რეაქცია;
- ჩინეთთან და აშშ-თან კონკურენციულ ბრძოლაში მარცხის საშიშროება.

აშშ-ის მოთხოვნა ევროპის ქვეყნებისადმი სამხედრო ხარჯების გაზრდისა და საკუთარ უსაფრთხოებაზე მეტი ზრუნვის შესახებ ობიექტური და რეალურია, მაგრამ აქ უნდა გამოვყოთ 3 საკითხი:

1. აშშ ევროპის დღევანდელი დაძაბული ურთიერთობისა და ხვალინდელი მოსალოდნელი კონფრონტაციების ფონზე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთო მნიშვნელოვანი ფაქტი: ორი მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკურად, პოლიტიკურად, იდეოლოგიურად, სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებული (განადგურებული თუ არა) დასავლეთ ევროპა ვერ შეძლებდა ეკონომიკურ აღორძინებას და თავდაცვას აშშ-ის მხარდაჭერის გარეშე. აშშ-მა 80 წლის მანძილზე რეალურად საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო ევროპის თავდაცვა, რამაც საშუალება მისცა ევროპულ ქვეყნებს საკუთარი თავდაცვისათვის საჭირო თანხები ძვირი სახელმწიფო სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად გამოეყენებინა და შეექმნა დღევანდელი ევროპული კეთილდღეობა.

2. აშშ-ის მხრიდან ნატოს ქვეყნების შანტაჟი ნატოდან გამოსვლის და გრენლანდიის ანექსიის შესახებ (რომ არაფერი ვთქვათ კანადის 51 შტატად გამოცხადების შესახებ), იმ დროს, როდესაც ევროპის ქვეყნები პრაქტიკულად ჩართული არიან ომში რუსეთის წინააღდეგ, არადროულია და დიდ საშიშროებას უქმნის ნატოს მის აღმოსავლეთ ფლანგზე (ევროპისა და შესაბამისად, უკრაინისათვის იარაღის მიყიდვა აშშ-სათვის ბიზნეს პროექტია, ხოლო სადაზვერვო მონაცემების გაზიარება უკრაინის მხარდამჭერი კონგრესისათვის ხარკის გადახდაა). აშშ-ს „ობიექტური მოსამართლის" პოზიციაში ჩადგომა საერთო დასავლური ფასეულობების უგულებელყოფაა.

3. ევროპის ქვეყნების მიერ აშშ-ს მოთხოვნის შესრულება სამხედრო ხარჯების გაზრდის შესახებ ნიშნავს დაახლოებით 7 ტრილიონ ევრომდე გამოყოფას 2035 წლამდე. წარმოუდგენელია, რომ ევროპის ქვეყნების მიერ გამოყოფილი ეს უზარმაზარი თანხა მათ ნატოს ბიუჯეტში გადაიხადონ, რათა ამერიკული იარაღი შეიძინონ და შესაბამისად ამერიკული სამხედრო ინდუსტრია განავითარონ. ევროპა სიამოვნებით იყო ამერიკული სამხედრო ქოლგის ქვეშ, სანამ მას იქ ყოფნა იაფი უჯდებოდა, დაახლოებით მშპ-ს 1,2-1,7%. როგორც კი ეს ხარ-

ჯები მიაღწევს 3,5-5%-ს, მყისიერად დღის წესრიგში დადგება შეიარაღებული ძალების საკუთარი წარმოების იარაღითა აღჭურვილობით შექმნის და აღჭურვის საკითხი.

ევროპაში უკვე ამოქმედდა პროგრამა SAFE, ევროკავშირში შეიარაღების ახალი ერთობლივი შესყიდვის სქემა, რომელიც მოითხოვს, რომ შესყიდული შეიარაღების კომპონენტების 65% წარმოებული უნდა იყოს ევროკავშირის ან მასთან ასოცირების შეთანხმების მქონე ქვეყნებში.

ეს უზარმაზარი თანხა საშუალებას მისცემს ევროპას სწრაფად განავითაროს საკუთარი სამხედრო ინდუსტრია, რაც ბიძგს მისცემს მთლიანად ეკონომიკის განვითარებას. სამხედრო ხარჯების ზრდა აუცილებლად გამოიწვევს ევროპის განვითარებულ ქვეყნებში მრავალი სოციალური პროგრამის შეზღუდვას ან გაუქმებას.

ევროპის მიზანია რაც შეიძლება დიდი ხნით შეინარჩუნოს ნატო დღევანდელი სახით და იყოს ნატოს ატომური ქოლგის ქვეშ, რათა უკეთ მოემზადოს ევროპის თავდაცვის ახალი სისტემის შექმნისათვის, რომელიც კარდინალურად განსხვავებული იქნება დღევანდელისგან, სადაც ევროკავშირი თავისი ჯარით და სამხედრო შეიარაღებით თვითონ უზრუნველყოფს საკუთარ თავდაცვას და ატომურ შეკავებას.

აშშ-ს ევროპაში ყოფნის დიდი პერიოდი (ისტორიისთვის ძალიან მცირე) დასასრულს უახლოვდება. მთავარია სამხედრო და პოლიტიკური ურთიერთობების (ეკონომიკური ურთიერთობები რამდენიმე ათეული წელია კონკურენტულ რეჟიმშია გადასული) გარდაქმნა მოხდეს თანდათანობით, სახელმწიფო ინტერესების ურთიერთპატივისცემით და მომავალი თანამშრომლობის ფართო შესაძლებლობებით. თავიდან უნდა იქნეს აცილებული ტრამპის დღევანდელი ადმინისტრაციისათვის ჩვეული მკვეთრი და მკვახე განცხადებები ევროპის მომართ და შეწყდეს მუქარა ევროპული სახელმწიფოს ანექსიის შესახებ.

ევროკავშირმა უნდა დანერგოს გადაწყვეტილების მიღების ახალი მექანიზმი, რომელიც მას საშუალებას მისცემს კონსესუსის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება, რაც აუცილებელია ევროკავშირის გარდაქმნის დასაჩქარებლად; ფართოდ აწარმოოს „ღია კარის“ პოლიტიკა 2030 წლისათვის გაფართოების პროგრამის რეალიზაციისთვის (იმედია საქართველო იქნება ამ პოლიტიკის ბენეფიციარი), რათა შემდგომ რამდენიმე წელიწადი კონცენტრირდეს შიდა ევროპულ საკითხებზე; სხვადასხვა სოციალური, იურიდიული, ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნით ეცადოს ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას; ინსტიტუციონალური გარდაქმნებით აამაღლოს ევროპული საფინანსო სისტემისა და ევროს მიმზიდველობა; თანამედროვე სამხედრო ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად შეიმუშავოს მაღალტექნოლოგიური დარგებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის ფართო პროგრამა. „ევროპა შეეჯახა გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ განსაკუთრებულ გამოწვევებს. თუ კონტინენტი არ ჩადებს ინვესტიციებს თავის ეკონომიკაში და სწრაფად არ მოხსნის ბარიერებს ზრდის გზაზე, მას გააქრობს ამერიკული ტექნოლოგიები და ჩინური იმპორტი“ (The Economist, 10.02.26).

ევროპის სამხედრო ინდუსტრიის განვითარებაში განსაკუთრებული როლი გერმანიამ უნდა ითამაშოს. მას აქვს ყველა რესურსი - მატერიალური, ფინანსური, რაც მთავარია მცირე სახელმწიფო ვალი. იგი უნდა გახდეს ევროპის გარდაქმნის ლოკომოტივი. გერმანიის კანცლერმა გამოთქვა დაპირება, შექმნას ევროპაში „ყველაზე ძლიერი არმია. მისი გეგმით გერმანიის სამხედრო ხარჯები გაიზრდება მშპ-ს 3,5%-მდე 2029 წელს, 6 წლით ადრე ნატოს მოთხოვნამდე“. შეიარაღების საერთო ხარჯები 2021 წელის 47 მილიარდი ევროდან გაიზარდება 2026 წლისათვის 108 მლრდ €-მდე (The Economist, 12.02.26).

ევროპა თავისი 450 მლნ, მოსახლეობით, 20 ტრლნ. აშშ დოლარის მშპ-თი, მსოფლიო საგარეო ვაჭრობაში ყველაზე დიდი წილით - 15,8% (აშშ-სა და ჩინეთის შესაბამისი მონაცემია 13,6%

და 13,4%) შეიძენს მისი ეკონომიკის შესაბამის სამხედრო ძალას და პოლიტიკურ იდენტობას და გახდება მსოფლიო გადაწყეტილებების მიღების მესამე მსოფლიო ცენტრი აშშ-სა და ჩინეთთან ერთად ან დადგება დაშლის საშიშროების წინაშე. როგორც მაკ კარნიმ, კანადის პრემიერ-მინისტრმა დავოსის კონფერენციაზე (2026 წ.) აღნიშნა: „შენ ხარ მაგიდასთან, ან ხარ მენიუში“.

ჩინეთი

ჩინეთის მზარდი პოლიტიკური და ეკონომიკური როლი მსოფლიოში ნათელია. მისი გეოპოლიტიკური მიზნები განსაზღვრულია მისი მზარდი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის შესაბამისი ადგილის დამკვიდრების სურვილით მსოფლიოში და ტაივანის შემოერთებაში მისთვის სასურველი პოლიტიკური ფასის გადახდით. ჩინეთის საგარეო პოლიტიკა არაექსპანსიურია, ის ცდილობს თავი აარიდოს კონფრონტაციას სხვა ქვეყნებთან (განსაკუთრებით აშშ-თან), რომელიც შეიძლება სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ამის მაგალითია ჩინეთის პასიური პოზიცია ვენესუელასა და ირანთან მიმართებით, ასევე რუსეთისადმი არაგაცხადებული დახმარება სამშვიდობო განცხადებების ფონზე.

ჩინეთის საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვლება ტაივანის შეერთების შემთხვევაში. მას გადაჭრილი ექნება მისთვის მთავარი, თითქმის 100 წლიანი ამოცანა და იგი უფრო გლობალურ ამოცანებს დაისახავს - მსოფლიო ოკეანეებში სტატუს-ქვოს შეცვლას (პირველ რიგში აშშ-ს და ბრიტანეთის შევიწროებას). ამ ამოცანის გადაჭრის პირველი ეტაპი იქნება მეზობელ სახელმწიფოებთან - ფილიპინებთან, ვიეტნამთან, მალაიზიასთან, ბრუნეისთან სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში ტერიტორიული საკითხების მშვიდობიანი თუ არამშვიდობიანი გზით მოგვარება.

მსოფლიო შეძლებს კომუნისტური ჩინეთის შეკავებას თუ ის დაიცავს ტაივანის დამოუკიდედბლობას, რაც შესაძლებელია მხოლოდ საერთო დასავლური ძალებით. აშშ ან ახდენს ჩინეთის შეკავებას ფართო სტრატეგიული პარტნიორობით ევროპის, კანადის, იაპონიის, სამხრეთ კორეის, ფილიპინების, ავსტრალიის ჩართულობით, ან მას მოუწევს ჩინეთისაგან თავის დაცვა მარტოდ დარჩენილს. ჩინეთის ეკონომიკურ ექსპანსიას ხელს უწყობს მისი იდეოლოგიური დოგმა: მნიშვნელობა არა აქვს რა ფერია კატა, მთავარია თაგვებს იჭერდეს (დენ სიაო-პინი). მთავარია ეკონომიკური და სახელმწიფო სარგებელი, მნიშვნელობა არა აქვს ვინ არის პარტნიორი - დემოკრატი სახელმწიფო მოღვაწე თუ სისხლიანი დიქტატორი.

ჩინეთი 2026 წლის 1 მაისიდან უხსნის საქონელზე საბაჟო გადასახადს აფრიკის 53 ქვეყანას, რათა კიდევ უფრო გაზარდოს მათთან საქონელბრუნვა, რომელმაც 2025 წელს შეადგინა 348 მლრდ $ (წლიური ზრდა-17,7%), აქედან ესპორტი 225 მლრდ$ (ზრდა 25,8%) („Независиьая Газета“, 18.02.26).

XIX საუკუნეში ეკონომიკურად ძლიერი დასავლეთი სამხედრო ძალით ხსნიდა ჩინურ ბაზარს, რათა შეეტანა თავისი საქონელი და კაპიტალი. სამწუხაროდ დღეს დასავლეთი (აშშ, ევროპა) არის თავდაცვის რეჟიმში. მაგალითისათვის ავტომანქანების ექქსპორტი ჩინეთიდან მთელს მსოფლიოში ბოლო რვა წლის განმავლობაში დაახლოებით 800%-ით არის გაზრდილი. „2026 წლისათვის მოსალოდნელია ჩინური მანქანების ექსპორტის ზრდა 10-15%-ით და მიაღწევს 6,5-7 მილიონს, 2018 წლის 750 ათასის ნაცვლად“. იმედია, არ გამეორდება ისტორია და ამ ჯერად ჩინეთი არ მოითხოვს სამხედრო ფლოტილიით დასავლური ბაზრების გახსნას (The Economist, 17.02.2026).

ჩინეთის მსოფლიო ეკონომიკური ექსპანსია გრძელდება და უახლოეს წლებში უფრო ფართო ხასიათს შეიძენს. მის გეოეკონომიკურ გაფართოებას გარკვეულად აფერხებს და მომავალში შეიძლება სერიოზულად დაამუხრუჭოს იუანის, ჩინური ვალუტის მსოფლიო სარეზერ-

ვო ვალუტის განუვითარებლობა. იუანის წილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო საბანკო რეზერვებში, საერთაშორისო ანგარიშსწორებაში 2025 წლისთვის შესაბამისად შეადგენს 2,88%-ს და 4,5%-ს.

II მსოფლიო ომის შემდეგ სსრ კავშირი, როგორც კომუნისტური იმპერია, სერიოზული გამოწვევა იყო მთელი დასავლეთისათვის, პირველ რიგში, ევროპისათვის და შემდგომ აშშ-თვის. ევროპისათვის იდგა პირდაპირი სამხედრო აგრესიის საშიშროება, ხოლო აშშ-თვის სსრ კავშირის საზღვაო ფლოტილიის მსოფლიო ოკეანეებში გასვლა და აშშ საზღვაო ფლოტილისთვის დომინაციის შეზღუდვა, მისთვის მთელს მსოფლიოში სამხედრო ძალების თავისუფალი რეკოგნოსცირების ხელშეშლა. მაგრამ სსრ კავშირი იყო ეკონომიკურად სუსტი, ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი, სამხედრო ძალით გაერთიანებული ქვეყანა, რაც შეუძლებელს ხდიდა მის გამარჯვებას ერთიანი დასავლეთის წინააღმდეგ „ცივ ომში“.

სხვა შემთხვევაა ჩინეთი. იგი დიდი და წარმატებული ისტორიით (ჩინეთი თავისი არსებობის 40 საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ყოველთვის ერთ-ერთი განვითარებული ქვეყანა იყო), მოსახლეობით (1 მლრდ. 405 მლნ კაცი), უდიდესი ეკონომიკით (2025 წლისთვის მშპ-19,2 ტრლნ $,ხოლო მშპ მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხდვით 40-43 ტრლნ.$), სწრაფად განვითარებადი სამხედრო ძალებით უკვე ჩამოყალიბდა სახელმწიფოდ, რომლის კონკურენცია (დაპირისპირება თუ არა) ნებისმიერ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცესა და სფეროში, ძირითადად აშშ-თან და ნაწილობრივ ევროპასთან, იქნება შემდგომი ათწლეულის ძირითადი მსოფლიო დღის წესრიგის განმსაზღვრელი (აჯემოღლუ, რობინსონი, 2018:329).

შედარებიათვის, „ჩინური საზღვაო ექსპედიცია სამხრეთ აზიაში, არაბეთში და აფრიკაში 1405 წელს. ადმირალ ჩჟენ ხეს მეთაურობით შედგებოდა 62 დიდი გემისაგან (თითოეულის სიგრძე 150მ.) და 190 უფრო მცირე გემისაგან. ამ საზღვაო არმადაში მონაწილეობდა 27800 კაცი“. 87 წლის შემდეგ კოლუმბი გაემართა ამერიკისაკენ (უფრო ზუსტად ინდოეთისაკენ) სამი გემით (ყველაზე გრძელი 25 მეტრი იყო) და 90 კაცით (აჯემოღლუ, რობინსონი, 2018:329).

ნავთობისა და გაზის მიწოდების მარშრუტების ცვლილება

მსოფლიო გეოპოლიტიკის მთავარი ხაზი მთელი XX საუკუნის მანძილზე იყო ქვეყნის ნავთობით გარანტირებული მომარაგების უზრუნველყოფა. XX საუკუნის ომებისა და სამხედრო კონფლიქტების დიდი ნაწილი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ნავთობთან იყო დაკავშირელი (ოსმალეთის იმპერიის დაშლა, პიერ-ჰარბორი, ერაყ-კუვეიტის ომი...)

ფიქალის ნავთობმა და გაზმა აშშ ნავთობისა და გაზის უმსხვილეს იმპორტიორიდან უმსხვილეს ექსპორტიორად აქცია, რაც დროთა განმავლობაში გამოიწვევს აშშ-სა და სხვა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებს, მათ შორის ნავთობით მდიდარი არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის რევიზიას, რადგან ისინი სასიცოცხლოდ აუცილებელი საქონლის მიმწოდებლიდან ჩვეულებრივ სავაჭრო კონკურენტებად იქცნენ. დღეს ამერიკული სამხედრო ბაზები და ამერიკული იარაღით შეიარაღებული ადგილობრივი ძალები უზრუნველყოფენ არაბეთის ნახევარკუნძულის დაცვას, მაგრამ პერსპექტივაში ეს ურთიერთობები ობიექტურად შესუსტდება. კონკურენტებს შორის შესაძლოა სიტუაციური და არა ხანგრძლივი, სტრატეგიული თანამშრომლობა.

აშშ-ის ახლო აღმოსავლეთისა და ზოგადად ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისადმი დამოკიდებულების ცვლილების მაგალითია ერაყი. ქვეყანაში, სადაც „ნავთობისა და გაზის დადასტურებული მარაგების მესამედზე მეტი და მიმდინარე მოპოვების ორ მესამედზე მეტი ჩინურ კომპანიებზე მოდის. ჩინური კომპანიები ერაყში ერთობლივად ფლობენ 24 მილიარდი ბარელის მარაგებს და მოიპოვებენ 3 მლნ.ბა-

რელს დღე-ღამეში. ამასთან West Qurna-1-ს, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე რენტაბელურ საბადოს 2024 წლამდე ამერიკაში Exxonbllobie მართავდა, დღეს მას ჩინელები მართავენ (Qurpa -2-სანქციებამდე რუსული Lukoili მართავდა).

ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავების კონტრაქტები შეიცავენ დამუშავების ობიექტების სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფას ნებისმიერი საშუალებებით, რომელთაც ჩინური კომპანიები ჩათვლიან საჭიროდ. ამაში შედის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა განუსაზღვრელი რაოდენობა ობიექტზე და მის ირგვლივ. ასევე ერაყის რამდენიმე სამხედრო და სამოქალაქო საზღვაო პორტებისა და აეროპორტების გამოყენების უფლება ჩინური სამხედროების მიერ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ აშშ-მიერ ერაყში წარმოებული თითქმის 20 წლიანი ომის, ასობით დახარჯული მილიარდის შემდეგ ერაყის ყველაზე ძვირფას ნავთობის საბადოებს ჩინელები მართავენ. ანალოგიური სიტუაციაა ირანშიც. დღეს ჩინეთის მიერ ზღვით იმპორტირებული 10,27 მილიონი ბარელი დღეში, დაახლოებით 13,4%, ირანული ნავთობია. თავის მხრივ ირანული ნავთობის ექსპორტის 80% ჩინეთზე მოდის (ანალიტიკური სააგენტო Kpler-ის მონაცემებით). ეს შეიძლება ნაწილობრივ იყოს არასწორი გათვლების შედეგი, მაგრამ მთავარი საბაზრო მოთხოვნაა, აშშ-ს არ ჭირდება დამატებითი ნავთობი.

უახლოეს წლებში კიდევ უფრო გამყარდება ბოლო ათი წლის მანძილზე ჩამოყალიბებული ტრენდი - ნავთობისა და გაზის მსოფლიო ბაზარზე მთავარი მომხმარებელია და არა მწარმოებელი. აშშ ჩაერთო ამ კონკურენტულ ბრძოლაში, როგორც ერთ-ერთი უდიდესი ნავთობექსპორტიორი, რომლის მთავარი ამოცანაა გასაღების ბაზრების გაფართოება. ეს კონკურენტული ბრძოლა წარიმართება შედარებით ცივილიზებული ფორმით, სანამ შენარჩუნებული იქნება ნავთობის დოლარში ვაჭრობის ათწლეულობით ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რაც საშუალებას აძლევს აშშ-ს შეინარჩუნოს დოლარის, როგორც მთავარო საგარეო სავაჭრო ვალუტის სტატუსი (დაახლოებით 2 ტრლნ.$-ნავთობის დოლარზე ვაჭრობის მოცულობა). ამ წესის შეცვლა, ნავთობით ვაჭრობაში კონკურენციას, უფრო მძაფრს და ძალადობრივს გახდის.

საქართველო

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები და მისი განვითარების პერსპექტივები მოცემული სტატიის კვლევის საგანს არ წარმოადგენს, მაგრამ თეზისების სახით, მოკლედ შეიძლება ვთქვათ შემდეგი:

1. საქართველოს მომავალი ერთიან ევროპაშია. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ შესაძლებლობების ფანჯარა, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომმა გახსნა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ევროკავშირში გაერთიანებით ჩვენ მივიღებთ:

- მეტ უსაფრთხოებას;
- კანონის უზენაესობასა და წესებზე დამყარებულ ურთიერთობებს;
- 450 მილიონიან სამომხმარებლო ბაზარს;
- მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვან შესაძლებლობას.

ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ, მოქალაქის მთავარი სოციალური მიზანი არის ხანგრძლივი სიცოცხლე, უზრუნველყოფილი მოხუცებულობა, სამუშაო ადგილების ფართო არჩევანი, მაღალი ანაზღაურება. საქართველოს მოქალაქეებისათვის ამ მთავარი სოციალური მიზნების დაკმაყოფილება ევროკავშირში უფრო მაღალ დონეზეა შესაძლებელი.

საქსტატის მონაცემებით საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2024 წელს შეადგენდა 74,9 წელს. აქედან მამაკაცების-70,5 წელი, ქალებისათვის-79,3 წელი. ევროკავშირში 2024 წლის მაჩვენებლები ასეთია- საშუალო ასაკი- 81,7 წელი, მამაკაცები-78,7 წელი, ქალები-84,0 წელი (ec.europa.eu; euronews.com).

საქართველოში ასაკობრივი პენსია 2025

წელს დაახლოებით 210 ევრო იყო თვეში, ევროკავშირში საშუალო პენსია იყო 2023 წელს დაახლოებით 1440 ევრო თვეში. ეს ციფრი ძალზე განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ყველაზე მაღალი პენსია ლუქსემბურგში, ნორვეგიასა და დანიაში- 2500€ და მეტია თვეში. ყველაზე დაბალი იყო ბულგარეთში-373 ევრო თვეში.

საქართველოში უმუშევრობის დონემ 2025 წლის IV კვარტალში შეადგინა 13,3%, ევროკავშირში უმუშევრობის დონემ 2025 წლის მაჩვენებლით შეადგინა 5,9%. (https://www.geostat.ge)

საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2025 წლის III კვარტალში-2271 ლარი, ანუ დაახლოებით 720 ევროა. 2024 წლისთვის ევროკავშირში საშუალო დასაქმებული ღებულობს 3320 ევროს თვიურ ხელფასს. ყველაზე მაღალი ხელფასებია ლუქსემბურგში ≈ 6900 €; დანიაში ≈ 6000 €, ირლანდიაში ≈ 50090 €. ყველაზე დაბალი ხელფასებია - ბულგარეთში ≈ 1280 €, საბერძნეთი ≈ 1500 €, უნგრეთი ≈ 1540 €.

საქართველოს ისტორია არის შეზღუდული (ხშირად ძალადობრივი) არჩევანის პირობებში გადაწყვეტილების მიღების მტკივნეული საუკუნეებრივი პროცესი. დღესაც ასეთი არჩევანია-ჩრდილოეთი თუ დასავლეთი, მაგრამ ასეთი თვალნათელი არჩევანი დასავლეთის სასარგებლოდ, ალბათ ჩვენს ისტორიაში ნაკლებად მოიძებნება.

2. აშშ-ს როლი საქართველოში შემცირდება, რაც განპირობებულია აშშ-თვის რუსეთის საფრთხის შემცირებისა და ევროპიდან თანდათანობით გასვლით. სომხეთთან და აზერბაიჯანთან აშშ-ს დღევანდელი თანამშრომლობის დაწყება სიტუაციურია და ვერ მიიღებს დიდ განვითარებას რეგიონის მცირე მასშტაბისა და აშშ-ს ინტერესების სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გადატანის გამო.

ჩვენს რეგიონში აშშ-ს ინტერესების სფეროს წარმოადგენს ირანი, როგორც ისრაელის სახელმწიფოს მტერი და შესაბამისად აშშ-ის მოწინააღმდეგე. ეს საკითხი ალბათ გადაიჭრება უახლოეს პერიოდში ირანის სამხედრო პოტენციალის დასუსტებით და მნიშვნელოვანი შეზღუდვით. რაც შეეხება აშშ-ს ინტერესს ირანის ნავთობ ინდუსტრიაში, ამას ზემოთ შევეხეთ.

3. რუსეთთან მიმართებით ჩვენ გვაქვს ერთი მთავარი და ორი მნიშვნელოვანი საკითხი.

მთავარი საკითხია რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია. საქართველოს ნებისმიერი ეროვნული მთავრობის უპირველესი ამოცანა საქართველოს გაერთიანება უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, რუსეთთან მიმართებით ნებისმიერი საუბარი, დიალოგი, კონტაქტი, გადაწყვეტილება, მოლაპარაკება, ქმედება უნდა ემსახურებოდეს ოკუპაციის დასრულების საკითხს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიუღებელია - „რად გვინდა გზა, რომელსაც ტაძრამდე არ მივყავართ“.

მნიშვნელოვანი საკითხები: ა) რაც უნდა დასუსტდეს რუსეთი, მას ყოველთვის ექნება რესურსი სერიოზული (თუ არა გამოუსწორებელი) ზიანი მიაყენოს მეზობელს. შესაბამისად, ყველა შესაძლო გზა უნდა იქნეს გამოყენებული მასთან სამხედრო კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად.

ბ) უნდა შევინარჩუნოთ რუსეთთან ჰუმანიტარული და ეკონომიკური კავშირები. ჰუმანიტარული - რუსეთში მცხოვრები ასი ათასობით ქართველის ინტერესების დაცვის და ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. რუსეთთან ეკონომიკური საქმიანობა საქართველოსთვის მისაღები და ხელსაყრელია.

საქართველო და სამეზობლო

ყარაბახის ომის დამთავრებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი რეგიონი. სომხეთს, აზერბაიჯანს და თურქეთს შორის კომუნიკაციების ამოქმედება ასუსტებს ირანის და განსაკუთრებით რუსეთის როლს სამხრეთ კავკასიაში და აძლიერებს თურქეთის პოზიციებს.

სომხეთს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარების მიუხედავად მათი თანამ-

შრომლობის პერსპექტივა შეზღუდულია. სომხეთის ОДКБ-დან (რუსეთის საერთაშორისო სამხედრო ორგანიზაცია) გამოსვლა, დროის საკითხია.

საქართველო, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის, სასიცოცხლოდ აუცილებელი პარტნიორიდან, ჩვეულებრივ მეზობლად იქცა, აქედან გამომდინარე შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებებით.

სამხრეთ კავკასიაში თურქეთის მზარდი როლიდან გამომდინარე, პროდასავლური თურქეთი დააჩქარებს ჩვენს ინტეგრაციას ევროპაში და ავტორიტარული -სერიოზულად შეაფერხებს მას.

ზანგეზურის სატრანსპორტო კორიდორი იქნება „შუა დერეფნის" კონკურენტი. ის ვერ ჩაანაცვლებს ჩვენს დერეფანს რთული ბუნებრივი პირობებით გამოწვეული შეზღუდული შესაძლებლობების გამო, მაგრამ ყოველთვის იქნება საქართველოსთან განსახილველი საკითხებისას ზემოქმედების ბერკეტი.

ანაკლიის პორტი

საერთაშორისო სატრანსპორტო მარშუტებისა და ნაკადების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებობა და მისი ხარისხი, უსაფრთხოება და ტარიფები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ტვირთი - გადასაზიდი საქონელი.

თუ არსებობს გადასაზიდი ტვირთი, ის აუცილებლად მოძებნის გზას (ზოგჯერ ძვირს, ხიფათიანს, გრძელს), მაგრამ ის აუცილებლად მივა მომხმარებლამდე. თუ არ არის ტვირთი, ვერავითარი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ვერ იფუნქციონირებს. პორტი, აეროპორტი, რკინიგზა არ ქმნის გადასაზიდ საქონელს, ის არის შუამავალი მომწოდებელსა და მომხმარებელს შორის.

ანაკლიის პორტში დასამუშავებელი ტვირთი, როგორც მოსალოდნელია, იქნება აზიიდან მომავალი ტვირთები ევროპისაკენ და არა პირიქით. შუა აზიიდან-ნედლეული, ჩინეთიდან მზა საქონელი. მაგრამ ძირითადი მაინც ჩინური საქონელი იქნება.

რაც შეეხება ჩვენი ძირითადი პოლიტიკური პარტნიორების ინტერესებს (მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური) ანაკლიის პორტში: აშშ თავისი სტრატეგიული მიზნების ცვლილებიდან გამომდინარე, თანდათანობით კარგავს შავ ზღვაში სამხედრო ინტერესებს (ეკონომიკური ინტერესი მას არასოდეს ქონია), რადგან თვლის, რომ შავ ზღვაში რუსეთის შეკავება ევროპამ და თურქეთმა უნდა შეძლონ.

შედარებით მეტი ინტერესი შეიძლება ჰქონდეს ევროპას, განსაკუთრებით, რუმინეთს, კონსტანცის პორტთან თანამშრომლობისა, ან უკრაინას-ოდესის პორტის დატვირთვისათვის, მაგრამ ევროპას უახლოეს წლებში არ ექნება დამატებითი საექსპორტო ტვირთები ანაკლიის პორტის დასატვირთად. სამხედრო თვალსაზრისით ევროპისათვის ანაკლიის პორტი არასაინტერესოა, რადგან ევროპას თავად სჭირდება თავისი სამხედრო ინფრასტრუქტურის განახლება და უკრაინის სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის უკრაინული პორტების.

თურქეთისათვის ანაკლია უმნიშვნელო, მაგრამ მაინც კონკურენტი იქნება (თურქეთის სამი ყველაზე დიდი პორტი წელიწადში ამუშავებს 70 მლნ.ტ-დან 90 მლნ.ტ-მდე. ტვირთს, თითოეული მათგანი).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოეს წლებში ანაკლიის პორტის ფუნქციონირება, ანუ მისი დატვირთვა ჩინური კომპანიის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნება. იდეალური იქნებოდა ქართულ - ჩინურ - ევროპული კონგლომერატის მიერ პორტის აშენება და მართვა.

დასკვნები

1. უახლოეს ათწლეულში აშშ შეინარჩუნებს მის წამყვან გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ პოზიციებს:

ა) თუ არ გაზრდის დიდ სახელმწიფო ვალს

და ჩამოაყალიბებს მისი კლების მყარ ტენდენციას;

ბ) თანამედროვე ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში დარჩება ლიდერის პოზიციაზე და მოახდენს მის მონეტიზაციას;

გ) შეამცირებს ქვეყნის შიგნით მოსახლეობის პოლიტიკურ პოლარიზაციას და ქვეყნის გარეთ განამტკიცებს ათწლეულების (ასწლეულების თუ არა) მანძილზე ჩამოყალიბებული სტრატეგიული პარტნიორების მხარდაჭერას.

მიუხედავად ყველა ამ ამოცანის გადაჭრისა, XXI საუკუნის აშშ-ს არ ექნება ის უნიკალური როლი რომელიც მას ჰქონდა XX საუკუნეში.

2. ჩინეთი ძალზე ახლოსაა გახდეს მსოფლიო გეოპოლიტიკის (გეოეკონომიკის უკვე არის) მეორე პოლუსი. ამისათვის ჩინეთმა:

ა) ტაივანის შემოერთება უნდა შეძლოს დასავლეთთან სერიოზული სამხედრო დაპირისპირების გარეშე, კომფრონტაციის გარდუვალობის შემთხვევაში, მაქსიმალურად გადასწიოს იგი დროში, უკეთ მომზადებისათვის, როდესაც აშშ სამხედრო უპირატესობის მიუხედავად, მის მიერ მიყენებული ზარალი აშშ-სათვის იქნება მიუღებელი;

ბ) მოახდინოს იუანის სრული კონვერტირებადობა და მსოფლიო სარეზერვო ვალუტად გადაქცევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ეკონომიკური განვითარება გარკვეულ ეტაპზე შეფერხდება.

3. ევროპა შეიძლება რუსეთ-უკრაინის ომის მთავარი ბენეფიციარი აღმოჩნდეს თუ II მსოფლიო ომში გამარჯვების შედეგად სსრ კავშირმა ევროპა გაყო, რუსეთი დღევანდელი ომით აჩქარებს ევროპის გაერთიანებას. ამ ომის გარეშე დემოკრატიულ მთავრობებს ევროპაში გაუჭირდებოდათ თავიანთი ამომრჩევლების დარწმუნება სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდაში და ეროვნული სუვერენიტეტის საერთო ევროპის სასარგებლოდ ნაწილობრივ დათმობაში, საერთო ევროპული გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობაში.

დღეს, ევროპა მნიშვნელოვნად ზრდის სამხედრო ინდუსტრიას, ქმნის მექანიზმებს ბიუროკრატიული ბარიერების მოსახსნელად ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის; ამთავრებს ინსტიტუციონალურ გარდაქმნებს გადაწყვეტილებების მიღების სისტემის ჩამოყალიბებაში, რაც საშუალებას მისცემს მას, გადაჭრას უახლოეს ათწლეულში მის წინაშე მდგომი შემდეგი საკითხები:

ა) რუსეთის, როგორც ევროპისათვის მთავარი საშიშროების, განეიტრალება;

ბ) ამერიკული თავდაცვითი სისტემის საერთო ევროპული სისტემით შეცვლა;

გ) ჩინური ეკონომიკური ექსპანსიის შეჩერება, აშშ-ს საექსპორტო ბაზრის შენარჩუნება და ეკონომიკური კავშირების გაფართოება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში.

აღნიშნული საკითხების გადაჭრა ევროპას საშუალებას მისცემს მართოს მსოფლიო გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პროცესები აშშ-თან და ჩინეთთან ერთად.

ლიტერატურა:

1. ზაქარია, ფ., (2025) რევოლუციების ეპოქა. ქართული გამოცემა. თბილისი, „ინტელექტი“;
2. აჯემოღლუ, დ., რობინსონი, ჯ., (2018) რატომ ვერ აღწევენ წარმატებას სახელმწიფოები. ქართული გამოცემა. ბაჩო ახალაიას სამხედრო-პოლიტიკური სკოლა. თბილისი.
3. Greenspen, A., Wooldridge, A., (2018). Capitalism in America. A History. Penguin press. Neu-York.
4. Klaus Schuab with Peter Vanham. „Stakeholder Capitalism “. 2021 by World Economic Forum;
5. Макнелли, Р., (2022) Нефть и волатильность: история и будущее взлетов и падений цен на нефть. Москва, Изд. Института Гаидара. https://www.iep.ru/ru/izdatelstvo/book/2022/neft-i-volatilnost-istoriya-i-budushchee-vzletov-i-padeniy-tsen-na-neft.html
6. The Economist. 29.01.2025.
7. The Economist. 29.01.2026.

8. The Economist.10.02.2026.
9. The Economist.12.02.2026.
10. The Economist.17.02.2026.
11. გაზ. „Коммерсант“. 20.02.2026.
12. გაზ. Независимая Газета . 16.02.2026.
13. გაზ. "Независиьая Газета“.18.02.26წ.

სტატისტიკური მასალები:

14. https://ec.europa.eu/eurostat/web/products-euro-indicators;
15. https://www.euronews.com/business/2025/11/13/eu-salaries
16. https://www.imf.org/en/data
17. www.geostat.ge
18. www.worldpopulationgewiew.com
19. www.ticdaka.treagery.gov.www.Oilprace.com
20. https://ticdata.treasury.gov/resource-center/data-chart-center/tic/Documents/slt_table5.txt